ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ინსტრუქცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა

მომზადებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2026 წლის 3 ოქტომბერს გასამართი შუალედური არჩევნებისთვის, იმ საარჩევნო უბნების სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

სარჩევი

შესავალი 2

ტერმინთა განმარტება 3

ადაპტირებული საარჩევნო უბნის მოთხოვნის პროცედურა 5

შშმ ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის პროცედურა 7

შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის ეტიკეტი 11

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია ხელს უწყობს ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას და განვითარებას საქართველოში. წლების მანძილზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების (შშმ ამომრჩეველი) არჩევნებში თანაბარი მონაწილეობისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არაერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელა:

- ✓ მცირემხედველი და უსინათლო პირებისთვის მისაწვდომი ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი;
- ✓ ჟესტურ ენაზე მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლები;
- ✓ ცესკოს კონტაქტ-ჰაბის სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის, რაც ითვალისწინებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას ჟესტურ ენაზე;
- ✓ არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევი მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის (მარტივად წასაკითხ ფორმატში);
- ✓ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღისთვის გათვალისწინებული დამხმარე რესურსები: უსინათლო ამომრჩევლებისთვის - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა; მცირემხედველი ამომრჩევლებისათვის - გამადიდებელი ლინზა; ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისათვის - ადაპტირებული ხმის მიცემის კაბინები; ყრუ, სმენადაქვეითებული და უსინათლო ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი პოსტერი, რომელზეც დატანილი QR წამკითხველი ინფორმაციას მისაწვდომს ხდის ჟესტურ ენასა და ხმოვან ფორმატში.

ამასთან, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) უზრუნველყოფენ საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ცნობიერების ამაღლებას შშმ ამომრჩევლებისთვის განსახორციელებელი სერვისების შესახებ. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ერთობლივად შემუშავებული წინამდებარე ინსტრუქცია, რომელშიც სისტემატიზებულია ინფორმაცია შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტის, ქცევის ნორმების დაცვისა და კენჭისყაში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის საკითხებზე

შშმ ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა. ამ მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა წევრობაზე დაფუძნებული და რელიგიური გაერთიანებებისა) და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობას დროებით გადასცემენ საარჩევნო კომისიებს. საარჩევნო უბნისთვის გამოიყოფა ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება ხელმისაწვდომი. ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში, შენობა-ნაგებობის გადამცემი ორგანო, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფს საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობის ადაპტირებას კენჭისყრის დღისთვის (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 9, პუნქტი 5).

ტერმინთა განმარტება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

უსინათლო - ადამიანი მხედველობის სრული შეზღუდვით.

მცირემხედველი - სუსტი მხედველობის მქონე ადამიანი.

ყრუ - ადამიანი სმენის სრული უქონლობით ან სმენის სრული დაკარგვით.

სმენადაქვეითებული - სუსტი სმენის მქონე ადამიანი.

ჟესტური ენა - ბგერების ნაცვლად ტუჩების მოძრაობის, ჟესტიკულაციის ან სხეულის პლასტიკის საშუალებით ასოების, ცნებების, სიტყვების გამოხატვა. ჟესტურ ენაში დაფიქსირებულია ის ჟესტები, რომლის გამოყენებითაც საუბრობენ ყრუ ან სმენადაქვეითებული პირები. ამ შემთხვევაში ჟესტები წარმოადგენენ სიტყვათა ექვივალენტებს (სიტყვათა შეთანხმებას, ცნებებს).

ჟესტური ენის მცოდნე - პირი, რომელიც ჟესტიკულაციით და ხელის მოძრაობით გამოხატავს სიტყვებს და ამ გზით ამყარებს კომუნიკაციას ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან.

მხარდაჭერის მიმღები პირი - პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

ადაპტირებული საარჩევნო უბანი - გულისხმობს როგორც შენობა-ნაგებობის გარე პერიმეტრის, ისე შენობაში შესასვლელის, შიდა სივრცისა და კენჭისყრის ოთახის მისაწვდომობას.

შენობა-ნაგებობის გარე პერიმეტრი – იგულისხმება შენობამდე მისასვლელი გზა, ჭიშკარი და შენობაში შესასვლელი კარები.

ჭიშკარი - კარი უნდა იღებოდეს შიგნიდან ან ორივე მიმართულებით ან მისაწვდომობისათვის სრულად უნდა იყოს ღია.

შენობაში შესასვლელი კარები - შენობის მთავარი შესასვლელი უნდა იყოს ფართო, უნდა იღებოდეს შიგნიდან ან ორივე მიმართულებით, კარებში შესასვლელი ზღურბლის სიმაღლე ისეთი უნდა იყოს, რომ ეტლით მოსარგებლემ მარტივად შეძლოს გადაადგილება .

ფოტო 1

ადაპტირებული შენობა - გულისხმობს შენობა-ნაგებობას, რომელსაც აქვს: პანდუსი, მარტივი ადაპტაცია, მოძრავი პანდუსი, მოაჯირი.

პანდუსი - დაქანებული სიბრტყე, რომელიც გამოიყენება შენობაში შესასვლელად. პანდუსი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ხის, ბეტონის, მეტალის ან /და სხვა (ფოტო 2).

მარტივი ადაპტაცია - გულისხმობს, რომ შენობაში შესასვლელად არ არის გამოყენებული საფეხური, შენობის შესასვლელი არის ნულოვან დონეზე განთავსებული (ფოტო 3).

მოძრავი პანდუსი - შეიძლება იყოს რკინის ან ხის კონსტრუქცია, იგი განკუთვნილია დროებითი სარგებლობისთვის (ფოტო 4).

მოაჯირი - კიბის ან პანდუსის ნაპირზე გავლებული ზღუდე (გლუვი და მრგვალი ფორმის) (ფოტო 5).

ალტერნატიული შესასვლელი - საარჩევნო უბანზე, რომელსაც გააჩნია ალტერნატიული ადაპტირებული / მისაწვდომი შესასვლელი, ამომრჩევლებისთვის უნდა იყოს გამოკრული გზის შესაბამისი ნიშანდებები (ფოტო 6).

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

კენჭისყრის ოთახში შშმ ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული დამხმარე საშუალებები - ხელს უწყობს ამომრჩეველს დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

ფარული ხმის მიცემის კაბინა - ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე განთავსებული ფარული ხმის მიცემის კაბინა, რომლის გამოყენებაც შეუძლია ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად. კაბინას დაკრული აქვს შესაბამისი ნიშანდები (ფოტო 7).

გამადიდებელი ლინზა - განკუთვნილია მცირემხედველი ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად. გამადიდებელ ლინზას ამომრჩეველს გადასცემს რეგისტრატორი კომისიის წევრი, მოთხოვნის საფუძველზე (ფოტო 8).

საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა - განკუთვნილია უსინათლო ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად. რეგისტრატორი კომისიის წევრი, აღნიშნულ ჩარჩო/ფორმას, მასში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენით, გადასცემს ამომრჩეველს (ფოტო 9).

კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი - ასახავს ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის პროცედურებს, გამოკრულია კენჭისყრის ოთახში თვალსაჩინო ადგილას. პოსტერი ხელს უწყობს ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლების ინფორმირებას ხმის მიცემის პროცედურებზე. პოსტერზე დატანილი QR წამკითხველი ინფორმაციას მისაწვდომს ხდის უსინათლო ამომრჩევლებისთვის ჟესტურ ენასა და ხმოვან ფორმატში (ფოტო 10).

ფოტო 7

ფოტო 8



ფოტო 9

ფოტო 10

ადაპტირებული საარჩევნო უბნის მოთხოვნის პროცედურა

ვის აქვს უფლება მოითხოვოს ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეყვანა და რა პროცედურის დაცვით

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს უფლება აქვს, ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით, მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ, ან ისარგებლოს საუბნო საარჩევნო კომისიის სერვისით. აღნიშნული ადაპტირებული საარჩევნო უბანი უნდა იყოს იმ ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში, რომელშიც ამომრჩეველია რეგისტრირებული.

ამომრჩეველმა საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღის (22 სექტემბერი) 18:00 საათამდე, წერილობითი განცხადების ან სატელეფონო ზეპირი განცხადების ფორმით.

წერილობითი განცხადების რეგისტრაციის მიზნით აუცილებელია განცხადებაში მითითებული იყოს ამომრჩევლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და იმ ადაპტირებული უბნის ნომერი, სადაც ამომრჩეველი ითხოვს არჩევნებში მონაწილეობას.

სატელეფონო ზეპირი განცხადების რეგისტრაციის მიზნით აუცილებელია საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითოს ამომრჩევლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სატელეფონო შეტყობინების მიღების ზუსტი დრო, ტელეფონის ნომერი და ადაპტირებული უბნის ნომერი, სადაც ამომრჩეველი ითხოვს არჩევნებში მონაწილეობას.

რა პროცედურები უნდა განახორციელოს საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეყვანის თაობაზე ამომრჩევლის მიმართვის შემთხვევაში

შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი ამომრჩევლის წერილობით/სატელეფონო ზეპირ განცხადებას ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში და ხელმოწერით ადასტურებს მის მიღებას.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი კომისიის შენობაში საჯაროობისთვის დაუყოვნებლივ აკრავს ინფორმაციას ამომრჩევლების შესახებ, რომლებმაც კომისიაში შეიტანეს განცხადებები ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეყვანის შესახებ.

ამომრჩევლების მიერ ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს შემოსული განცხადებების (თანდართული დოკუმენტებით – ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადაცემას საოლქო საარჩევნო კომისიისთვის რეაგირების მიზნებისთვის.

ვის აქვს უფლება გადაამოწმოს ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეყვანის მოთხოვნის საფუძვლიანობა

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს უფლება აქვთ, გადაამოწმონ ამომრჩევლის ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა და კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა (23 სექტემბერი) საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვან ამ ამომრჩევლების შესაბამის სპეციალურ სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის საკითხი.

აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა (23 სექტემბერი), იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

რა წესით ხდება ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანა

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული, აგრეთვე საკუთარი მონაცემების საფუძველზე, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა (23 სექტემბერი), 18:00 საათის შემდეგ, ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ადაპტირებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სპეციალურ სიას და სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას, გასაჯაროების მიზნით გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა: ა) ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, რომლებშიც ჩატვირთულია საარჩევნო კომისი-ისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები, მათ შორის, ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სია; ბ) საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალური სიის ბეჭდური ვერსია.

ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისია, ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაციას აწვდის იმ საუბნო საარჩევნო კომისიას, რომლის უბნის ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული ამომრჩეველიც იქნა შეყვანილი ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში.

შშმ ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის პროცედურა

შშმ ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში დამატებით რა უნდა გაითვალისწინოს ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა ფუნქციის შესრულებისას

უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ვერბალურად აუხსენით ამომრჩეველს კენჭისყრის შენობაში დაშვების პროცედურა.
- ✓ საჭიროებისამებრ, ვერბალურად აუხსენით ამომრჩეველს, რომ შეუძლია გაეცნოს კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერს. პოსტერზე დატანილი QR წამკითხველის დასკანერების შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ხმოვან ფორმატში.

ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ წერილობით აუხსენით ამომრჩეველს კენჭისყრის შენობაში დაშვების პროცედურა.
- ✓ საჭიროებისამებრ, მიუთითეთ ამომრჩეველს, რომ შეუძლია გაეცნოს კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერს. შეგიძლიათ ასევე შესთავაზოთ ამომრჩეველს, ცესკოს კონტაქტ-ჰაბში განახორციელოს ვიდეოზარი და ცესკოს ვებგვერდის საშუალებით ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით. აღნიშნული მომსახურების მისაღებად აუცილებელია ამომრჩეველმა რეგისტრაცია გაიაროს ცესკოს ვებგვერდზე (www.cesko.ge) და ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა.

ზედა კიდურების არმქონე (ორივე ზედა კიდურის) ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველს არ უტარდება მარკირების შემოწმების პროცედურა.
- ✓ ამომრჩეველს უფლება აქვს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის მიზნით დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

მხარდაჭერის მიმღები ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველს შესაძლოა თან ახლდეს მხარდაჭერის განმახორციელებელი პირი, რომელიც დაიშვება კენჭისყრის შენობაში ამომრჩევლის დასახმარებლად.

შშმ ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში დამატებით რა უნდა გაითვალისწინოს რეგისტრატორმა კომისიის წევრმა ფუნქციის შესრულებისას

უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ვერბალურად აუხსენით ამომრჩეველს რეგისტრაციის პროცედურის თითოეული ეტაპი.
- ✓ საჭიროებისამებრ, ვერბალურად აუხსენით ამომრჩეველს, რომ შეუძლია გაეცნოს კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერს. პოსტერზე დატანილი QR წამკითხველის დასკანერების შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ხმოვან ფორმატში.
- ✓ უსინათლო ამომრჩეველს ხელის შეხებით მიანიშნეთ ამომრჩეველის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ხელმოწერის ადგილი.
- ✓ უსინათლო ამომრჩეველის მიერ საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების ხელშეწყობისთვის, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო-ფორმაში იმგვარად, რომ ჩარჩო-ფორმაზე არსებული ყოველი წრიული ჭრილი ემთხვეოდეს საარჩევნო სუბიექტების წინ არსებულ წრეს (ფოტო 11).
- ✓ უსინათლო ამომრჩეველს მიუთითეთ, რომ ფარული ხმის მიცემის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო-ფორმის გამოყენებით საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდეგ, საარჩევნო ბიულეტენი ამოიღოს ჩარჩო-ფორმიდან და მოათავსოს ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში. ფარული ხმის მიცემის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მეშვეობით საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს ძირითად საარჩევნო ყუთში მასზე დამაგრებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენებით.
- ✓ მცირემხედველ ამომრჩეველს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცით გამადიდებელი ლინზა (ფოტო 12), ან საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო-ფორმა და აუხსენით მათი გამოყენების წესი.

ფოტო 11

ფოტო 12

ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ წერილობით აუხსენით ამომრჩეველს რეგისტრაციის პროცედურის თითოეული ეტაპი. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ ამომრჩეველს, რომ გაეცნოს კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერს. შეგიძლიათ ასევე შესთავაზოთ ამომრჩეველს, ცესკოს კონტაქტ-ჰაბში განახორციელოს ვიდეოზარი და ცესკოს ვებგვერდის საშუალებით ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით. აღნიშნული მომსახურების მისაღებად აუცილებელია ამომრჩეველმა რეგისტრაცია გაიაროს ცესკოს ვებგვერდზე (www.cesko.ge) და ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა.

ზედა კიდურების არმქონე (ორივე ზედა კიდურის) ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველი არ გადის მარკირების პროცედურას.
- ✓ ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას, ამომრჩეველის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე გამოყოფილ ადგილზე - „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტურეთ ხელმოწერით.
- ✓ ამომრჩეველს უფლება აქვს, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

მხარდაჭერის მიმღები ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველს შესაძლოა საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას დაეხმაროს მხარდაჭერის განმახორციელებელი პირი, ან ამომრჩეველს უფლება აქვს, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

შშმ ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში დამატებით რა უნდა გაითვალისწინოს საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველმა კომისიის წევრმა ფუნქციის შესრულებისას

უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ უსინათლო ამომრჩეველს ვერბალურად და ხელის შეხებით მიანიშნეთ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ჭრილში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესი.
- ✓ საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ ამომრჩეველს და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მეშვეობით საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ძირითად საარჩევნო ყუთში მასზე დამაგრებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენებით.
- ✓ საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ, აუხსენით ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.

ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ წერილობით აუხსენით ამომრჩეველს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მეშვეობით საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების წესი, საარჩევნო ყუთზე დამაგრებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენებით.

  საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ, აუხსენით ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.

ზედა კიდურების არმქონე (ორივე ზედა კიდურის) ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველს უფლება აქვს, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით, საარჩევნო ყუთზე დამაგრებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით, საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთში მოსათავსებლად დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა), რომელიც მას დაეხმარა საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.

მხარდაჭერის მიმღები ამომრჩევლისთვის სერვისის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები:

- ✓ ამომრჩეველს შესაძლოა სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით, საარჩევნო ყუთზე დამაგრებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით, საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთში მოსათავსებლად დაეხმაროს მხარდაჭერის განმახორციელებელი პირი. ამომრჩეველს ასევე უფლება აქვს, დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა), რომელიც მას დაეხმარა საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.

შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის ეტიკეტი

რა უნდა გაითვალისწინონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის დროს

უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველთან:

- ✓ საარჩევნო უბანზე მოსულ უსინათლო ან მცირემხედველ ამომრჩეველს აუცილებლად წარუდგინეთ თავი. გაახმოვანეთ, „გამარჯობა, მე ნინო/გიორგი ვარ“.
- ✓ ესაუბრეთ მშვიდი ტონით.
- ✓ თუ ხელის ჩამორთმევა გსურთ, აცნობეთ მას ამის შესახებ ან შეახეთ ხელი მის ზურგს, რათა უსინათლო პირმა მარტივად შეძლოს ხელის ჩამორთმევა. გაახმოვანეთ: „შეიძლება ჩამოგართვათ ხელი?“.
- ✓ მოკლედ აღწერეთ ადგილი, სადაც იმყოფებით. მაგალითად, „დარბაზის ცენტრში თქვენგან დაახლოებით 8 ნაბიჯის დაშორებით დგას რეგისტრატორის მაგიდა“.
- ✓ თუ უსინათლო ამომრჩეველი გამცილებელ ძაღლთან (გიდი ძაღლი) ერთადაა, არ ეთამაშოთ ძაღლს.
- ✓ ნუ გამოართმევთ უსინათლო ამომრჩეველს ხელჯოხს. ეს მისი საორიენტაციო ინსტრუ-მენტია.
- ✓ მიაწოდეთ ინფორმაცია ბარიერების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). მაგალითად: ზღურბლი, კიბე და სხვა. მიმართულების ახსნისას გააჟღერეთ „თქვენგან მარჯვნივ, მარცხნივ, ქვევით“.
- ✓ უსინათლო ამომრჩეველს ჰკითხეთ, გადაადგილებისას ხომ არ სჭირდება დახმარება. თანხმობის შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი ნებართვას იღებს უსინათლო ან მცირემხედველი ამომრჩევლისგან გადაადგილებაში დახმარების მიზნით, დგება ამომრჩევლის გვერდით, უსაფრთხო ორიენტაციისთვის სთხოვს უსინათლო ან მცირემხედველ პირს ხელი მოჰკიდოს მკლავზე, რის შემდგომაც, უხსნის მის მიერ განსახორციელებელ თითოეულ პროცედურას და აცილებს მას სარეგისტრაციო მაგიდასთან/ფარული ხმის მიცემის კაბინასთან/ძირითად საარჩევნო ყუთთან.

ყრუ ან სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთან:

- ✓ ყრუ ან სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთან კომუნიკაცია, მისი ნებართვით, განახორ-ციელეთ წერილობითი ფორმით.
- ✓ თუ ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში გამოცხადდა ჟესტური ენის მცოდნე თანმხლებ პირთან ერთად, არ მიმართოთ უშუალოდ თანმხლებ პირს, საუბრის დროს შესაძლოა პერიოდულად გადახედოთ მას. მნიშვნელოვანია, დაამყაროთ კეთილგანწყობილი კონტაქტი ამომრჩეველთან.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთან:

- ✓ ნუ შეეხებით დაუკითხავად ეტლს, ასევე დაუშვებელია მასზე დაყრდნობა.
- ✓ არ გადააადგილოთ ეტლი თვითნებურად, ამისთვის აიღეთ ნებართვა. თუ მიიღეთ თანხმობა, გადაადგილება დაიწყეთ ნელა, ვინაიდან ეტლი სწრაფად იღებს სიჩქარეს.
- ✓ სანამ ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს დახმარებას გაუწევთ, აუცილებლად შესთავაზეთ, სჭირდება თუ არა მას თქვენი დახმარება: „შემიძლია დაგეხმაროთ“ ან „როგორ შემიძლია დაგეხმაროთ“, მაგალითად, მძიმე კარის გაღებისას ან ოდნავ შემაღლებული ზღურბლის გადასვლისას.

მხარდაჭერის მიმღებ ამომრჩეველთან:

- ✓ არ ესაუბროთ „ბავშვური ენით“, ნუ მოეპყრობით მას, როგორც ბავშვს. მიმართეთ, როგორც ნებისმიერ სხვა ზრდასრულს.
- ✓ არ იფიქროთ, რომ თქვენი არ ესმის. გაითვალისწინეთ, რომ მეტყველების დარღვევა, ავტომატურად, ინტელექტუალური დარღვევის მაჩვენებელი არ არის.
- ✓ ისაუბრეთ გასაგები ენით, მოკლე და მარტივი წინადადებებით. ნუ შეეცდებით საუბრის დაჩქარებას. მზად იყავით, რომ მეტყველების სირთულეების მქონე პირთან კომუნიკაცია შესაძლოა შედარებით მეტ დროს მოითხოვდეს.

რა ტერმინები **უნდა** გამოიყენონ საარჩევნო კომისიის წევრებმა შშმ ამომრჩევლებთან საუბრის დროს?	რა ტერმინები **არ უნდა** გამოიყენონ საარჩევნო კომისიის წევრებმა შშმ ამომრჩევლებთან საუბრის დროს? დროს?
✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	✗ ხეიბარი; ნაკლიანი; არასრულყოფილი; დეფექტური; ეტლს მიჯაჭვული; უნარშეზღუდული, ინვალიდი.
✓ მხარდაჭერის მიმღები	✗ გონება ჩამორჩენილი; გონებაშეზღუდული; ქმედუუნარო; ფსიქიკურად დაავადებული.
✓ უსინათლო, მცირემხედველი	✗ ბრმა; ბრუციანი.
✓ ყრუ	✗ ყრუ-მუნჯი.

ცესკოს და სწავლების ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია

ოფიციალური ვებგვერდები:
WWW.CESKO.GE
WWW..ELECTIONREFORMS.GE

იურიდიული მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0159, ლევან ფირცხელიანის ქუჩა N7

ცესკოს კონტაქტ-ჰაბი: 2 51 00 51
სწავლების ცენტრი: 2 61 21 11